

## შშმ ქალთა უფლებები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში



კვლევა შექმნილია RFSU-ს (Swedish Association for Sexuality Education) ფინანსური მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს RFSU-ს მოსაზრებებს.

კვლევის ავტორი: ანა აბაშიძე

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

**შინაარსი**

შესავალი ..... 3

პრობლემის მიმოხილვა..... 4

სექსუალური ძალადობის ფორმები დახურულ დაწესებულებებში..... 4

    გაუპატიურება ან გაუპატიურების მუქარა..... 4

    სქესობრივი დანაშაული..... 5

    სქესობრივი კონტაქტი..... 5

    სექსუალური ხასიათის წამება..... 5

    სექსუალური შერცხვენა და სექსუალური გადაცდომები..... 6

    სექსუალური შერცხვენა იდენტობის საფუძველზე..... 6

    სხვა ფორმის სექსუალური ხასიათის ძალადობა ..... 6

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები..... 6

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ..... 7

სპეციალური საჭიროებები და გამოწვევები ..... 8

    მართლმსაჯულებაზე წვდომა ..... 8

    თავისუფლების შეზღუდვის გარემო ..... 8

    უსაფრთხოება და დაცვა..... 9

    თვითდაზიანების რისკი ..... 9

    გათავისუფლებისთვის მომზადება ..... 10

    ძალადობის გამოცდილება..... 10

პასუხი გამოწვევებზე..... 10

    საჭიროებების კვლევა ..... 11

    კანონმდებლობა და პოლიტიკა..... 11

    გენდერულად მგრძობიარე მენეჯმენტი ..... 12

    თავისუფლების შეზღუდვის ალტერნატივები..... 12

    სტატიკური და დინამიკური უსაფრთხოება..... 12

    უფლებების შესახებ ინფორმირება ..... 13

    სუიციდის და თვითდაზიანების პრევენცია..... 13

    სოციალური აქტივობა და ოჯახთან კომუნიკაცია..... 14

    დამოუკიდებელი მონიტორინგის სისტემა..... 14

    ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერა სისტემაში ..... 14

შეჯამება ..... 15

## შესავალი

ადამიანები, რომლებიც თავისუფლების შეზღუდვის/ადკვეთის ადგილებში ცხოვრობენ, ერთ-ერთი ყველაზე უხილავი პოპულაციაა. მათი უფლებრივი მდგომარეობა და ყოველდღიურობა მოკლებულია საზოგადოებრივ დაკვირვებას. ხშირად მათ შესახებ არაფერია ცნობილი მოსახლეობისთვის და ეს განსაკუთრებით პრობლემურია, როცა გარკვეული სირთულეები იჩენს თავს და თავისუფლებაშეზღუდული ადამიანების უფლებების დასაცავად სხვათა მონაწილეობა შეიძლება გადაწყვეტი იყოს. საზოგადოებრივ პროტესტს დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში უნიკალური როლი აქვს დადებითი სოციალური ცვლილებების მისაღწევად, თუმცა ამისათვის აუცილებელია საზოგადოება იყოს სრულად ინფორმირებული ადამიანების ცხოვრების შესახებ.

დოკუმენტის მიზნებისთვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილები გულისხმობს პენიტენციურ დაწესებულებებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებს, დროებითი მოთავსების იზოლატორებს და სხვა დახურულ დაწესებულებებს, სადაც ადამიანი მოთავსებულია სასამართლოს ან სხვა ოფიციალური ორგანოს გადაწყვეტილებით და რისი დატოვებაც არ არის დამოკიდებული თავისუფლებაშეზღუდული პირის სურვილზე.<sup>1</sup>

დოკუმენტის მთავარი მიზანია განიხილოს თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის პრობლემა და ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც პრევენციულ როლს ასრულებს და ქმნის უსაფრთხოების გარანტიებს დახურულ დაწესებულებებში.

დოკუმენტის მიზანია გაზარდოს ცოდნა ქალთა მიმართ ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრობლემის შესახებ, მათ შორის ის, თუ როგორ იჩენს თავს ამგვარი ძალადობა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში. აგრეთვე მიმოიხილოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზრდის ძალადობის რისკს ამგვარ ადგილებში. მიმოიხილოს საბაზისო პრევენციული და რეაგირების ინსტიტუციურ მოდელები/მომსახურებები, რაც აუცილებელია სისტემის გაუმჯობესებისთვის.

შესაბამისად, დოკუმენტი უპირველესად განკუთვნილია სახელმწიფო მოხელეებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული ადამიანებისთვის, რომლებსაც შეხება აქვთ თავისუფლებაშეზღუდულ ქალებთან და იღებენ გადაწყვეტილებებს, რაც მათ ცხოვრებაზე არსებით გავლენას ახდენს.

---

<sup>1</sup> Optional Protocol to the Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Article 4 (2).

## პრობლემის მიმოხილვა

ძალადობა ქალთა მიმართ დახურულ დაწესებულებებში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელიც უკავშირდება საზოგადოებაში დამკვიდრებულ დამაზიანებელ

რწმენა-წარმოდგენებს ქალთა სოციალური როლის შესახებ და აგრეთვე განპირობებულია იმითაც, რომ ქალთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები დაწესებულებებში სათანადოდ არ ან ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებში (არამხოლოდ), სუსტი მენეჯმენტის და სისტემის პირობებში ქალებს პრაქტიკულად ძალადობრივ გარემოში ცხოვრება უწევთ.

სახელმწიფო ვალდებულია, ნებისმიერი პირი, რომელიც მისი მფარველობის ქვეშ მოექცევა, მაგალითად პატიმარი ქალი, იყოს გარანტირებულად უსაფრთხოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უფლებების დარღვევაზე ეკისრება სახელმწიფოს, რომლის გადაწყვეტილებითაც შეეზღუდა თავისუფლება ქალს.

## სექსუალური ძალადობის ფორმები დახურულ დაწესებულებებში

ერთ-ერთი განმატების თანახმად, სექსუალური ძალადობა არის ადამიანის მიმართ სექსუალური შინაარსის მოქმედება იძულების ან ძალის გამოყენებით. იძულება შეიძლება იყოს განპირობებული სხვადასხვა გარემოებით, როგორცაა შიში, ზეწოლა, ძალდატანება, ძალის გამოყენების მუქარა, ფსიქოლოგიური წნეხი ან ძალაუფლებით უკანონოდ სარგებლობა. სექსუალური ძალადობა აგრეთვე შეიძლება იყოს ჩადენილი ზეწოლის გარემოში, სადაც პირზე უპირატესობის მოპოვება შესაძლებელია და როცა პირს შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (არასრულწლოვანი, ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი, ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროების მქონე პირი და სხვა) და გააზრებული თანხმობა.<sup>2</sup>

## გაუპატიურება ან გაუპატიურების მუქარა

ევროპის საბჭოს კონვენციის ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია)<sup>3</sup> თანახმად, გაუპატიურება არის მსხვერპლის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე განხორციელებული სექსუალური ხასიათის შეღწევა სასქესო ორგანოთი, სხეულის ნებისმიერი ორგანოთი ან ნებისმიერი საგნით. მსხვერპლის თანხმობა განისაზღვრება გარემოებების აუცილებელი გათვალისწინებით.

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში არსებული სიტუაცია და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება შესაძლებელია საკმარისი აღმოჩნდეს გაუპატიურების დანაშაულის

<sup>2</sup> International Committee of the Red Cross, Sexual Violence in Detention, op. cit., note 22.

<sup>3</sup> მუხლი 36, <https://rm.coe.int/168008482e>

დასადგენად, განსაკუთრებით, მსხვერპლის თავისუფალი ნების და თანხმობის არარსებობის დასადასტურებლად.<sup>4</sup>

### სქესობრივი დანაშაული

მსხვერპლის მიმართ, მისი თანხმობის გარეშე ფიზიკური ან სექსუალური მოქმედება, რომელიც არღვევს ადამიანის ფიზიკურ სხეულებრივ ხელშეუხებლობას.<sup>5</sup>

### სქესობრივი კონტაქტი

დანაშაულებრივი სქესობრივი კონტაქტი ან სექსუალური შეხება, რომელიც არაა გაუპატიურება ან სქესობრივი დანაშაული, არამედ გულისხმობს პენიტენციურ და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში თანამშრომლების მხრიდან მათი მოვალეობების დარღვევას.<sup>6</sup> დანაშაულებრივი სქესობრივი კონტაქტი მოიცავს აგრეთვე მსხვერპლის სხეულზე არასასურველ სექსუალური შეხებას, მათ შორის შეხებას გენიტალიებზე, მკერდზე, საჯდომზე და ა.შ.

### სექსუალური ხასიათის წამება

სექსუალური ხასიათის წამება არის სექსუალური ძალადობა, რომელიც მოიცავს მძიმე ფიზიკური ან მენტალური ტკივილის მიყენების განზრახვას იმ მიზნით, რომ მოიპოვოს მისგან ინფორმაცია ან აღიარება; ან განხორციელებულია დასჯის, ზეწოლის/იძულების მიზნით ან ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელიც ექცევა წამების საერთაშორისოდ აღიარებულ განსაზღვრებაში.

სექსუალური ხასიათის წამების მიზანი დამატებით შეიძლება იყოს აგრეთვე მსხვერპლის შერცხვენა მისი იდენტობის ან წარმომავლობის გამო.

კონკრეტული მიზნის არარსებობის შემთხვევაშიც კი სექსუალური ხასიათის წამება შეიძლება დაკვალიფიცირდეს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად. სექსუალური ხასიათის წამება შეიძლება ჩადენილი იყოს გაუპატიურებით აგრეთვე სხვა ფორმის სქესობრივი დანაშაულებით და ემსახურებოდეს კონკრეტული მიზნის მიღწევას.<sup>7</sup>

---

<sup>4</sup> This is an expansive definition of rape developed under international law. Explanatory note to the Rome Statute, Elements of the crime of rape, Article 7 (1) (g)-1.

<sup>5</sup> “Definition of sexual assault and other elements”, UN Women Virtual Knowledge Centre to End Violence Against Women and Girls, <<http://www.endvawnow.org/en/articles/453-definition-of-sexual-assault-and-other-elements.html>>.

<sup>6</sup> Niyi Awofeso and Raymond Naoum, “Sex in prisons – a management guide”, Australian Health Review, Vol. 25, No. 4, 2002, p. 155.

<sup>7</sup> International Committee of the Red Cross, Sexual Violence in Detention, op. cit., note 22.

## სექსუალური შერცხვენა და სექსუალური გადაცდომები

არის ქცევა, რომელიც მოიცავს სექსუალური შინაარსის შერცხვენას, შევიწროებას. მოქმედება შეიძლება შეფასდეს სექსუალურ გადაცდომად, როცა ჩადენილია

სამართალდამცავის ან ციხის თანამშრომლის მიერ. ამგვარი ქცევა მოიცავს მაგალითად თავისუფლებაზე ზღუდული ადამიანის გაშიშვლების იძულებას და ციხის თანამშრომლების შეუფერებელ საქციელს პატიმრის ჩხრეკის დროს. ამგვარ ქცევას ასევე შეიძლება თან ახლდეს სექსუალური შინაარსის შეურაცხყოფები და კომენტარები ან სექსუალიზებული ჟესტები, როგორცაა დასტვენა ან ყურება სექსუალურ ადგილებზე.

### სექსუალური შერცხვენა იდენტობის საფუძველზე

სექსუალური შერცხვენა და შევიწროება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე მოიცავს განსხვავებული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის ადამიანის მიმართ სექსუალური შინაარსის დამამცირებელ, მიუღებელ ქცევას და გამოხატვას. თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ამგვარი ქცევა შეიძლება ჩაიდინოს თანამშრომელმა ადამიანის ჩხრეკის დროს ან სამედიცინო გასინჯვის დროს. ამგვარი ქცევა შეიძლება გამოვლინდეს თანამშრომლების უმოქმედობაშიც, მაგალითად, როცა ერთი პატიმარი მეორეზე სექსუალურად ძალადობს ან სექსუალური შინაარსის სხვა დანაშაულს ან გადაცდომას ჩადის და თანამშრომელი, რომელსაც დაცვა ევალება, უმოქმედოა.

### სხვა ფორმის სექსუალური ხასიათის ძალადობა

აქ მოიაზრება გენდერულად სპეციფიკური ძალადობის ფორმები, როგორცაა მაგალითად ორსულობის იძულებითი შეწყვეტა ან გაგრძელება, ან ქალის იძულება გაიკეთოს ორსულობის ტესტი. ქალის ან კაცის იძულებითი სტერილიზაცია.<sup>8 9</sup> აგრეთვე ქალიშვილობის ტესტის ჩატარება იმ მიზნით, რომ შეარცხვინოს ან დააშინოს ქალი მაშინ, როცა ამგვარი ტესტი აუცილებლობით არ არის განპირობებული.

### შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

ყველა თავისუფლებაზე ზღუდული პირი გარკვეულწილად და სხვადასხვა ხარისხით მოწყვლადია. თავისუფლების შეზღუდვის ადგილები კი სადაც პირობები, უსაფრთხოება და საჭირო ზრუნვა არ არის, განსაკუთრებით მოწყვლადს უსუსურს ხდის მათ.

<sup>8</sup> Non-consensual sterilization of female prisoners has been documented in a number of countries, including in the United States. Note that after research was published on the practice of sterilizing female prisoners by the California Department of Corrections and Rehabilitation, the state passed legislation outlawing the practice in 2014.

<sup>9</sup> In the context of country visits to Germany (2010, 2013), the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment expressed concern that the practice of surgical castration of convicted sex offenders could be considered degrading treatment.

მიუხედავად ამისა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყველა სხვა პატიმარზე და თავისუფლებაზე აღსრულებულ პირზე მეტად საჭიროებენ მხარდაჭერას და უსაფრთხოებას

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში, რადგან ციხის გარემო თავისთავად ზრდის მათ წინაშე იმთავითვე არსებულ გამოწვევებს. მათ შორის არიან თავისუფლებაზე აღსრულებული ქალები ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ხანდაზმულები და სხვ. ისინი ასევე არიან მომატებული რისკის წინაშე, რომ ძალადობის ან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლები გახდებიან, როგორც სხვა პატიმრების, ისე დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს დამკვიდრებული დამაზიანებელი სოციალური როლები და რწმენა-წარმოდგენები, რაც ყველაზე „ხმამაღალია“ დახურული ტიპის დაწესებულებებში.<sup>10</sup>

### ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა

პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებით დიდ პრობლემას ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები წარმოადგენს. კვლევის თანახმად, არაპროპორციულად დიდია იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ ფსიქო-სოციალური საჭიროებები.<sup>11</sup> მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, დაახლოებით 40%-ს პატიმრებისა ევროპაში აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებები და მათი რაოდენობა 7-ჯერ აღემატება გარეთ მყოფი ადამიანების რიცხვს.<sup>12</sup>

ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევის მაღალი მაჩვენებელი თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში უკავშირდება ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტორებს:<sup>13</sup>

- პატიმართა დიდი რიცხვი;
- ძალადობრივი გამოცდილება;
- პირადი სივრცის ნაკლებობა;
- სოციალური იზოლაცია;
- მნიშვნელოვანი აქტივობების ნაკლებობა.
- აუცილებელი ჯანდაცვის და განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების არარსებობა და სხვა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებს შორის განსაკუთრებით იგნორირებულია ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ადამიანები. გაეროს სპეციალური მომხსენებლის თანახმად, „...მათ მიმართ უგულებელყოფა საზოგადოების განწყობების ანარეკლია,

<sup>10</sup> United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) by Tomris Atabay, consultant on criminal justice issues, based in Turkey. Handbook on Prisoners with special need, CRIMINAL JUSTICE HANDBOOK SERIES, 2009, 4

<sup>11</sup> Fazel S., Danesh J. (2002) Serious mental disorder among 23,000 prisoners: systematic review of 62 surveys. Lancet, 359, 545-550.

<sup>12</sup> Penal Reform International, Penal Reform Briefing No. 2, 2007 (2), Health in prisons: realising the right to health, p. 3.

<sup>13</sup> WHO, ICRC Information Sheet, Mental Health and Prisons, p. 1. ([www.euro.who.int/Document/MNH/WHO\\_ICRC\\_InfoSht\\_MNH\\_Prisons.pdf](http://www.euro.who.int/Document/MNH/WHO_ICRC_InfoSht_MNH_Prisons.pdf))



განსაკუთრებით, ჯანდაცვის და ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე სპეციალისტების მხრიდან.<sup>14</sup>

### სპეციალური საჭიროებები და გამოწვევები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, განსაკუთრებით კი ქალებს, აქვთ მთელი რიგი საჭიროებები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში, რაც პირდაპირ უკავშირდება მათ უფლებების დაცვას, განსაკუთრებით კი – ჯანდაცვის და უსაფრთხოების უფლებებს.

### მართლმსაჯულებაზე წვდომა

თავისუფლებაზე შეზღუდული შშმ ქალები სხვა პატიმრებთან შედარებით მეტად დაშორებულები არიან მართლმსაჯულების სისტემას თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში. შესაძლებელია, მათ საერთოდ არ იცოდნენ მათი უფლებების შესახებ, მაგალითად ის, რომ აქვთ ადვოკატის ყოლის უფლება, ან შესაძლებელია ფიზიკური წვდომა არ ჰქონდეთ ადვოკატთან. ასევე, შესაძლოა განიცდიდნენ დისკრიმინაციას და სტიგმას სამართალდამცავი პირების მხრიდან ან ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების მხრიდან.<sup>15</sup>

როგორც წესი, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებს აქვთ უფლება უფასო სამართლებრივ დახმარებაზე, რომელიც შეიძლება არც შესთავაზონ. ადეკვატური სამართლებრივი კონსულტაციის გარეშე კი, სხვა პატიმრებთან შედარებით, ისინი ადვილად გახდებიან ზეწოლის მსხვერპლები მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. შესაძლოა, თვითინკრიმინაცია მოხდეს მაშინაც კი, როცა დანაშაული არც კი ჩაუდენიათ. კვლევები აჩვენებს, რომ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრები უფრო ხშირად აღიარებენ დანაშაულებს.<sup>16</sup>

### თავისუფლების შეზღუდვის გარემო

დიდი უმრავლესობა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებისა არ სთავაზობს შშმ ქალებს ისეთ გარემოს, სადაც მათი კეთილდღეობა იქნება გარანტირებული. როგორც წესი, გარემო არ ნიავედება სათანადოდ, საპატიმროები გადაჭედულია, ანტისანიტარიაა, რაც ზრდის აგრეთვე ძალადობის რისკს ქალების მიმართ. ამგვარი გარემო ზრდის სტრესს, დეპრესიას, ღელვას, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს შშმ პირის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, თუკი შესაბამისი ზომები არ იქნა მიღებული.

ზოგიერთ ადგილას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ქალები ცხოვრობენ სხვებისგან განცალკევებით, ხშირად თვეების და წლების განმავლობაში და მათ მიმართ

<sup>14</sup> E/CN.4/2005/51, op. cit. para. 77.

<sup>15</sup> United Nations Commission on Human Rights (2005), Report of the United Nations Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, Paul Hunt, E/CN.4/2005/51, para. 45.

<sup>16</sup> Goobic, D., The Arc of New Jersey Developmentally Disabled Offenders Program. ([www.arcnj.org](http://www.arcnj.org)).

გამოიყენება ფიზიკური ან/და ქიმიური შეზღუდვის საშუალებები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას (მაგ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები). კვლევები აჩვენებს, რომ ქალი პატიმრები, რომლებსაც აქვთ მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებები, დახურულ დაწესებულებებში არიან ძალადობის, თვითდაზიანების, და ფსიქიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების განსაკუთრებული რისკის წინაშე.<sup>17</sup>

### უსაფრთხოება და დაცვა

პატიმრები მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებებით არიან მოწყვლადები, რომ გახდებიან ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები დახურულ დაწესებულებებში სხვა პატიმრების მხრიდან. მათ, შესაძლოა, ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების გამო უჭირდეთ დაემორჩილონ იქ არსებულ დისციპლინის წესებს და შესაბამისად, ხშირად გახდნენ ამის გამო დასჯის და დაშინების ადრესატები დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. დაწესებულებებში ქალი პატიმრები განსაკუთრებით არიან გაუპატიურების რისკის წინაშე.<sup>18</sup>

### თვითდაზიანების რისკი

კვლევები აჩვენებს, რომ თვითდაზიანების და სუიციდის რისკი მნიშვნელოვნად მაღალია თავისუფლებაშეზღუდულ პირებში, ვიდრე ზოგად პოპულაციაში, რაც ყოველწლიურად იზრდება. ხანგრძლივი პატიმრობა, სამართლო საკნები, შეზღუდული შესაძლებლობა, სხვადასხვა საშუალებაზე დამოკიდებულება და წარსულში სუიციდის მცდელობა სუიციდის რისკის ზრდასთანაა ასოცირებული.<sup>19</sup> კვლევები ასევე აჩვენებს, რომ პატიმრები რომლებმაც სუიციდი ჩაიდინეს, იტანჯებოდნენ სხვადასხვა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებით ან ჰქონდათ სხვადასხვა ნივთიერებაზე დამოკიდებულების (ადიქციის) პრობლემა.<sup>20</sup>

თვითდაზიანება თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში აგრეთვე უკავშირდება ძალადობის ისტორიას, განსაკუთრებით ქალებში.<sup>21</sup>

<sup>17</sup> United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) by Tomris Atabay, consultant on criminal justice issues, based in Turkey. Handbook on Prisoners with special need, CRIMINAL JUSTICE HANDBOOK SERIES, 2009, 13.

<sup>18</sup> Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard.

of physical and mental health, Paul Hunt, E/CN.4/2005/51, 11 February 2005, para. 8.

<sup>19</sup> Matsching T., Fruhwald S. and Frottier P., Suicide behind bars, an international review, Klinische Abteilung für Sozialpsychiatrie und Evaluationsforschung, Universitätsklinik für Psychiatrie, AKH Wien, Österreich.

<sup>20</sup> See, for example, Shaw, J., Appleby L. and Baker D. (2003), Safer prisons: a national study of prison suicides 1999-2000, The National Confidential Inquiry into Suicides and Homicides by People with Mental Illness, in Rickford D. and Edgar K., Troubled Inside: Responding to the Mental Health Needs of Men in Prison, Prison Reform Trust, 2005, p. 75.

<sup>21</sup> Borrill J., Burnett R., Miller S., Briggs D., Weaver T., Maden A., "Patterns of self-harm and attempted suicide among white and black/mixed race female prisoners" in Criminal Behaviour and Mental Health, 2003; 13(4); 229-40.

## გათავისუფლებისთვის მომზადება

მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევის მქონე ადამიანებისთვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილიდან გათავისუფლება, შესაბამისი სათანადო მომზადების გარეშე, აგრეთვე უკავშირდება სტრესს და რისკს. ხშირად საპატიმრო ან/და სამკურნალო დაწესებულებები, სადაც ადამიანი წლებს ატარებს, არ თანამშრომლობენ სამოქალაქო ჯანმრთელობის სერვისებთან იმისათვის რომ პირმა მიიღოს სათანადო და უწყვეტი მხარდაჭერა საპატიმროს დატოვების შემდეგ. ზოგჯერ კი ამგვარი სერვისები პოპულაციაში საერთოდ არ არსებობს შიმ პირებისთვის.

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პატიმრები ხშირად არ არიან მხარდაჭერილები ოჯახის წევრების მხრიდან ან საერთოდ არ ჰყავთ სოციალური ქსელი, არიან უსახლკაროები და დაუსაქმებლები. შესაბამისად, თუ მათ ამგვარი მხარდაჭერა არ შესთავაზეს, შესაძლებელია დანაშაულის განმეორებით ჩადენის გამო მალევე დაბრუნდნენ თავისუფლების შეზღუდვის ადგილას.

## ძალადობის გამოცდილება

უმეტესად ქალები, რომლებიც აღმოჩნდნენ საპატიმრო ან სამკურნალო დახურულ დაწესებულებებში, იტანჯებიან მენტალური ჯანმრთელობის პრობლემით, დამოკიდებულები არიან წამალზე ან ალკოჰოლზე და ეს უკავშირდება მათ მიმართ ჩადენილ ძალადობრივ, მათ შორის, სექსუალური ხასიათის ძალადობრივ დანაშაულებს და ოჯახში ძალადობას. ოჯახებთან დაშორება განსაკუთრებით ქალებისთვის არის დამატებითი სტრესი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აგზნებადობა, დეპრესია და იყოს უფრო სერიოზული მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მიზეზი ქალებში.<sup>22</sup>

## პასუხი გამოწვევებზე

აღნიშნული თავი ეხება ძირითად რეკომენდაციებს, რომელიც მოიცავს კანონმდებლობის, პოლიტიკის თუ სხვა ინსტიტუციური მექანიზმების არსებობის აუცილებლობას ძალადობრივი და არაკუმანური მოპყრობის პრევენციის და ეფექტური რეაგირებისთვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში.

გამოწვევებზე საპასუხო მოქმედებები მთავარ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს – პრობლემების სრულყოფილ გააზრებას და თავისუფლებააღკვეთილი პირების საჭიროებებს.<sup>23</sup>

<sup>22</sup> Please refer to UNODC Handbook for Prison Managers and Policymakers on Women and Imprisonment for additional guidance on the mental health care needs of female prisoners.

<sup>23</sup> The Bangkok Rules, op. cit., note 164.

## საჭიროებების კვლევა

პირველ რიგში აუცილებელია გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა იკვლიონ სიტუაცია თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ქალთა და შშმ ქალთა მიმართ ძალადობის ინდივიდუალური და სისტემური სურათის შესახებ. ეს კვლევა უნდა მოიცავდეს ინსტიტუციური ჩარჩოს კრიტიკულ ანალიზსაც, რათა შესაძლებელი გახდეს პოლიტიკის თუ საკანონმდებლო დონეზე საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირება.

ამ მიზნით აუცილებელია გამოიყოს შესაბამისი რესურსი და გამოკვლევული იყოს ყველა ტიპის თავისუფლების შეზღუდვის ადგილები, როგორცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები, პენიტენციური დაწესებულებები, დროებითი მოთავსების იზოლატორები და სხვა. საერთაშორისო დონეზე ამგვარი კვლევის მნიშვნელობაზე და მონაცემთა შეგროვება-დამუშავებაზე ცხადი რეკომენდაციებია შემუშავებული.<sup>24</sup>

სასურველია ამგვარი შეფასება გაკეთდეს დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან, რათა გარანტირებული იყოს მაქსიმალური ნეიტრალიტეტი და საკითხების სიღრმისეული კვლევა. საქართველოს შემთხვევაში ამგვარ დაწესებულებას, შესაძლებელია, სახალხო დამცველის აპარატი, აკადემიური ინსტიტუტები ან კვლევითი ორგანიზაციები წარმოადგენდნენ.

## კანონმდებლობა და პოლიტიკა

აუცილებელია გადაიხედოს თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და ასევე ყველა პოლიტიკის დოკუმენტი დაწესებულებების შიდა რეგულაციების ჩათვლით, რათა დარწმუნებით ითქვას, რომ რეგულაციები საკმარისია და შეესაბამება ყველა აუცილებელ ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტს. აგრეთვე რეგულაციები და კანონები პასუხობს ქალების საჭიროებებს, რომელიც კვლევის შედეგად იქნა გამოვლენილი.

კანონმდებლობის და რეგულაციების შესწავლის დროს აუცილებელია მისაწვდომობის პრინციპის პრიორიტეტული გაანალიზება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია შეფასდეს პრაქტიკა, თუ რამდენად ხდება გადაცდომებსა თუ დანაშაულებზე კანონმდებლობის და შიდა რეგულაციების შესაბამისად რეაგირება. განსაკუთრებით მაშინ, თუ აღნიშნული მომდინარეობს შშმ ქალების დაცვაზე ვალდებული თანამშრომლების და სამართალდამცავების მხრიდან.<sup>25</sup>

<sup>24</sup> Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 19 on Violence against women, 1992, para. 24(c). Also see Article 11, Istanbul Convention.

<sup>25</sup> Preventing and Addressing Sexual and Gender-Based Violence in Places of Deprivation of Liberty, Standards, Approaches and Examples from the OSCE Region, 107.

## გენდერულად მგრძობიარე მენეჯმენტი

აუცილებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში არსებობდეს გენდერულად მგრძობიარე მენეჯმენტის სისტემა, რაც აგრეთვე უნდა მოიცავდეს თანამშრომლებისთვის ქცევის სათანადო წესებს და ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპს ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენის შემთხვევებზე.

გენდერულად სენსიტიური მენეჯმენტი უნდა მოიცავდეს მონაცემების შეგროვების, სტატისტიკის გაანალიზების, საჭირო, აუცილებელი და უწყვეტი გადამზადების საკითხებს. ამგვარი სისტემა უნდა ქმნიდეს უფლების დაცვის ადვილად და თავისუფლად გამოყენებად საშუალებებს/მექანიზმებს თავისუფლებაშეზღუდული ადამიანებისთვის. აუცილებელია ამ პროცესში ჩართულები იყვნენ სპეციალისტები, ვისაც უმცირესობათა უფლებებზე მუშაობის გამოცდილება აქვთ.<sup>26</sup>

## თავისუფლების შეზღუდვის ალტერნატივები

სისტემას უნდა შეეძლოს განიხილოს ალტერნატიული საშუალებები იმ ადამიანებისთვის, ვინც მაღალი რისკის ქვეშ არიან, რომ გახდებიან სხვადასხვა ძალადობის მსხვერპლები თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში. მაგალითად, ქალები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემით ან შშმ ქალები ვისთვისაც თავისუფლების შეზღუდვის ადგილები არ არის მზად, რომ დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასჯელის განსაზღვრამდე იყოს შესაძლებელი ალტერნატივების გამოყენება, რაც მნიშვნელოვანი პრევენციული საშუალება იქნებოდა.

## სტატიკური და დინამიკური უსაფრთხოება

თავისუფლების შეზღუდვის ადგილები უნდა ითვალისწინებდეს უსაფრთხოების სხვადასხვა ზომას. მაგალითად, სტატიკურ უსაფრთხოებას, როგორცაა შენობების დიზაინი, სტრუქტურა და ტექნოლოგია. აგრეთვე დინამიკურ პრაქტიკებს.

სტატიკური უსაფრთხოების ზომები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ქალებს ჰქონდეთ მაქსიმალური წვდომა შენობებში ყველა ადგილზე, პროგრამებზე და ამავდროულად, მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მათი პირადი უსაფრთხოება. მაგალითად, არ უნდა ჰქონდეთ არანაირი კონტაქტი კაც პატიმრებთან, არ უწყვედეთ საერთო სივრცის გამოყენება და სხვა. სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს ე.წ. „უხილავ ადგილებს“, სადაც შესაძლებელია ძალადობის შემთხვევები ისე მოხდეს, რომ ეს ვერავინ შეამჩნიოს, არ იყოს სათვალთვალო კამერები, იყოს ჩაბნელებული საერთო სივრცეები და სხვ. განსაკუთრებით სარისკოა ისეთი ადგილები, სადაც ქალები მარტოები არიან, სააბაზანო, დასაძინებელი ადგილი, საპირფარეშო, პატიმრის ჩხრეკის და დათვალიერების ადგილები.

---

<sup>26</sup> Id. 112

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა აბალანსებდნენ პირადი ცხოვრების და უსაფრთხოების საკითხებს იმგვარად, რომ არც ერთი არ დაირღვეს.<sup>27</sup>

დინამიკური უსაფრთხოების სისტემა ისეთ ადგილებში, სადაც ტექნოლოგიური განვითარება ნაკლებია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის გულისხმობს ძირითადად გადამზადებული და გენდერულად მგრძობიარე თანამშრომლების რაოდენობის და ინტერაქციის ზრდას თავისუფლებაზეზღუდულ ადამიანებთან. თანამშრომლები, რომლებიც ხშირად ურთიერთობენ პირებთან, ადრეულ სტადიაზე აღმოაჩენენ ძალადობის ნიშნებს, რაც პრევენციული საშუალება შეიძლება იყოს ქალებისთვის. თუმცა, იმისათვის, რომ ეს მიდგომა ეფექტური აღმოჩნდეს, მთავარი წინაპირობაა საუკეთესოდ გადამზადებული თანამშრომლების არსებობა ასეთ ადგილებში.<sup>28</sup>

### უფლებების შესახებ ინფორმირება

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები უნდა იყოს ყველა რელევანტური ინფორმაცია პატიმრების და სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირების უფლებების შესახებ. ეს ინფორმაცია არა დეკლარაციული, არამედ მაქსიმალურად დეტალური და პრაქტიკული უნდა იყოს, იმდენად პრაქტიკული, რომ მისი გამოყენება დაწესებულებაში შეეძლოს ყველას, მათ შორის ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ადამიანს.

ეს ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული, როგორც ზეპირად ისე წერილობითი ფორმით და აგრეთვე განთავსებული ადვილად და ყველასთვის მისაწვდომ ადგილას. ამასთანავე, ინფორმაცია უნდა გადაითარგმნოს და მიეწოდოს თავისუფლებაზეზღუდულ ადამიანს იმ ენაზე, რასაც ფლობს. ინფორმაციის მიწოდების ყველა საშუალება უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს მიეწოდოს ან ბრაილის ფორმატის გამოყენებით ან ზეპირსიტყვიერად, ამ სურდო თარჯიმნის საშუალებით, თუ ეს საჭიროა კონკრეტულ დაწესებულებაში და ა.შ.<sup>29</sup>

### სუიციდის და თვითდაზიანების პრევენცია

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში უნდა არსებობდეს სუიციდის და თვითდაზიანების პრევენციის სტრატეგია. რაც უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო პროფესიონალის არსებობას, ეს იქნება ექიმი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი თუ სხვა.

დაწესებულებაში მოთავსებისთანავე ადამიანის ჯანმრთელობის სკრინინგი და სრულყოფილი რეგულარული სამედიცინო შეფასებები აუცილებელი წინაპირობაა სუიციდის და თვითდაზიანების პრევენციისთვის. თავისუფლების შეზღუდვისთანავე შშმ

<sup>27</sup> Laura Maiello and Stephen Carter, “Minus the urinals and painted pink? What should a women’s prison look like?” PRI blog post, 9 December 2015, <<https://www.penalreform.org/blog/10020/>>.

<sup>28</sup> Nelson Mandela Rules, Rule 76(c).

<sup>29</sup> Nelson Mandela Rules 54, 55; Interim Report of the Special Rapporteur on torture and other inhumane or degrading treatment or punishment, 7 October 2013, A/68/295, para. 79.

ქალებს და ყველა სხვას, ვისაც ეს ესაჭიროებათ უნდა მიეწოდოთ სუიციდის და თვითდაზიანების რისკის ეფექტური პრევენციული და თერაპიული მომსახურებები.

### სოციალური აქტივობა და ოჯახთან კომუნიკაცია

სოციალური აქტივობები და ოჯახთან ხშირი კომუნიკაცია არსებითად მნიშვნელოვანია ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევის მქონე ქალების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის ყველა ტიპის დახურულ დაწესებულებაში. ეს აგრეთვე მოიცავს მუშაობის, განათლების, სპორტის და რეკრეაციულ აქტივობებს. ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალებს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეთ ყველა არსებულ პროგრამაზე, რაც თავისუფლების შეზღუდვის ადგილებშია. საჭიროებიდან გამომდინარე, მათთვის უნდა შეიქმნას ცალკეული პროგრამებიც. მაგალითად, ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, თერაპიული მომსახურებები გათავისუფლებისთვის მზადება და სხვა.

ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ შშმ ქალებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან, რაც შეიძლება მოხდეს ვიზიტების, კორესპონდენციის და სახლში პერიოდული გაყვანის გზით, როცა ეს შესაძლებელია.<sup>30</sup>

### დამოუკიდებელი მონიტორინგის სისტემა

პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებით აუცილებელია მენტალური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდების დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმის არსებობა. მონიტორინგი აუცილებლად უნდა განახორციელოს სისტემისგან დამოუკიდებელმა მენტალური ჯანმრთელობის საკითხების პროფესიონალებმა, როგორც გეგმურად, ისე არაგეგმურად. ისინი ანგარიშს უნდა აბარებდნენ დამოუკიდებელ ორგანოს, მაგალითად, პარლამენტს.

პარალელურად, სისტემაში უნდა არსებობდეს შიდა მონიტორინგის მექანიზმიც, რომელიც უზრუნველყოფს იმ შედეგების შემოწმებას, რომლებიც დაწესებულებაში დაგეგმა მენტალური ჯანმრთელობის სერვისმა.

### ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდაჭერა სისტემაში

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში უნდა არსებობდეს ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდაჭერის სერვისები. რომელიც უნდა მოიცავდეს სამართლებრივი დახმარებას, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, ფსიქიატრიულ სრულყოფილ მომსახურებებს. სერვისები უნდა ეხმარებოდეს თითოეული ქალის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მიზნად ქალების გაძლიერებას ისახავდეს. სერვისების მიწოდება არ უნდა შეიზღუდოს იმის მიხედვით, თუ სად და როდის განიცადა ქალმა ძალადობა – სისტემაში შესვლის შემდეგ თუ შესვლამდე.<sup>31</sup>

<sup>30</sup> HANDBOOK ON PRISONERS WITH SPECIAL NEEDS, 36

<sup>31</sup> Bangkok Rule 7(2).

## შეჯამება

სექსუალური და სხვა სახის ძალადობა ქალების მიმართ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში შესაძლებელია თავიდან სრულიად იყოს აცილებული. ამგვარი დანაშაულების მიმართ აუცილებელია ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება.

ქალების და ზოგადად, თავისუფლებაშეზღუდული ადამიანების უსაფრთხოება უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის. ამისათვის გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის გატარება აუცილებელია ყველა დაწესებულებაში და მისი ეფექტურობა განისაზღვრება თანამშრომლების მომზადების, მათი ღირებულებების და პრაქტიკაში აღნიშნული მიდგომების რეალური გამოყენების შეფასებით.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების შეზღუდვის ადგილები ნებისმიერი ადამიანისთვის სტრესულია, განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ცალკეული ჯგუფები, რომელთა შორისაც არიან ქალები შეზღუდული შესაძლებლობით და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემით. შესაბამისად ლოგიკურია, რომ უსაფრთხოების და მათი ფსიქო-ემოციური კეთილდღეობისთვის მეტი ძალისხმევა და რესურსები გასათვალისწინებელი.

სწორი პოლიტიკის, პრობლემებზე ორიენტირებული სტრატეგიების, გადამზადებული თანამშრომლების და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების პირობებში, ქალები, რომლებსაც აქვთ ძალადობრივი გამოცდილება ან აქვთ სხვადასხვა საჭიროებები, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში შეძლებენ უსაფრთხოდ ყოფნას, რაც სახელმწიფოს ვალდებულებაა.